საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
“გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

# ბრძანება

2-01/1-4-202001141659

N 2/ს 14/01/2020

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიისა და კომისიის აპარატის შექმნის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის N2-742 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ანა ჭოლოკავას, 2020 წლის 13 იანვრის N9 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეიქმნას სატენდერო კომისია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით, შემდეგი შემადგენლობით:
ა) თამარ ალადაშვილი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ალექსი პოტაპოვი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) ანა ჭოლოკავა - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
დ) ირინე ქუთათელაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საინფორმაციო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
ე) გიორგი ჭელიძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) ლაშა ლობჯანიძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
ზ) მარიამ ხაზარაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის იურისტი, კომისიის წევრი.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:
ა) გიორგი ლაბაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი, აპარატის წევრი;
ბ) მარიამ გიუნაშვილი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესყიდვების სპეციალისტი, აპარატის წევრი;
გ) ნიკოლოზ მინდიაშვილი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფინანსისტი, აპარატის წევრი.

4. სატენდერო კომისიის აპარატს ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

5. ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 05 აგვისტოს N51/ს ბრძანება.

6. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

7. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი